პროექტი

ს/ს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო

კრება

გადაწყვეტილება

ს/ს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო

კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე:

საკითხი 1: 1. ს/ს „სარაჯიშვილის“ ნებადართული კაპიტალისა და განთავსებული კაპიტალის დაზუსტების შესახებ

გადაწყვეტილება:

დაზუსტდეს ს/ს „სარაჯიშვილის“ ნებადართული კაპიტალისა და განთავსებული კაპიტალის მონაცემები ტექნიკური ხარვეზის (არითმეტიკული შეცდომის გამო). კერძოდ, 1 ნომინალური აქციის ღირებულება აქციების საერთო რაოდენობაზე გამრავლებაში და ს/ს „სარაჯიშვილის“ ნებადართული კაპიტალი და განთავსებული კაპიტალი 10 353 989,00 (ათი მილიონ სამასორმოცდაცამეტი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრა) ლარით განისაზღვროს.

საკითხი 2: ს/ს „სარაჯიშვილის“ წესდებაში ცვლილებების შეტანისა და ამ ცვლილებების მიხედვით კრების ჩატარების თარიღისათვის კონსოლიდირებული წესდების დამტკიცების შესახებ

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ს/ს „სარაჯიშვილის“ წესდებაში შესატანი ცვლილება და აქციონერთა კრების ჩატარების თარიღისათვის კონსოლიდირებული წესდება.

საკითხი 3: ს/ს „სარაჯიშვილის“ 2021 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგებისა და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების შესახებ.

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ს/ს „სარაჯიშვილის 2021 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

საკითხი 4: ს/ს „სარაჯიშვილის“ წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების შესახებ

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ს/ს „სარაჯიშვილის“ წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების წარმოდგენილი პროექტი.
დამტკიცდეს ს/ს „სარაჯიშვილის“ წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების წარმოდგენილი პროექტი რაც გულისხმობს: ს/ს „სარაჯიშვილის“ 2021 წლის წმინდა მოგება 11 502 484 ლარის ოდენობით დარჩეს გაუნაწილებლად და გამოყენებული იქნას ს/ს „სარაჯიშვილის“ მოდერნიზაციისა და განვითარებისათვის; განაწილდეს დივიდენდებად 2017 წლის გაუნაწილებლად დარჩენილი წმინდა მოგებიდან 6 347 835 (ექვსი მილიონ სამას ორმოცდაშვიდი ათას რვაას ოცდათხუთმეტი) ლარი, რაც შეადგენს 1 აქციაზე 3.5 (სამნახევარ) ლარს; დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 22 აგვისტო; დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 7 სექტემბერი, ხოლო დივიდენდების გაცემის დამთავრების თარიღად კი 2023 წლის 7 მარტი.

საკითხი 5: საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შეფასების შესახებ.

გადაწყვეტილება:

შეფასდეს დადებითად ს/ს „სარაჯიშვილის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობა.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გაწული მუშაობის შინაარსი: 2021 წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 4 (ოთხი) სხდომა. კვარტალში ერთი, რასაც მოითხოვდა იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (მუხლი 55.პ.5) საბჭოს სხდომებზე განხილული იქნა 9 საკითხი, რომლებიც ეხებოდა როგორც, სამეთვალყურეო საბჭოს შიდა აუდიტის კომიტეტის მუშაობას, ისე ხელმძღვანელი ორგანოს მიერ საბჭოსთან კანონის მოთხოვნით შესათანხმებელ საკითხებს (სესხებზე თავდებობა, დირექტორებისათვის უფლებამოსილების მინიჭებასა და სხვა).

აღსანიშნავია ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციაც, კერძოდ, მიუხედავად 2021 წელს COVID-19 არსებული პანდემიისა, რეალიზებული პროდუქციის ღირებულებამ 41,2 მლნ. ლარი შეადგინა, ეს მაჩვენებელი 15%-ით აღემატება წინა წლის გაყიდვებს, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ს/ს „სარაჯიშვილი“ სტაბილური განვითარების გზას ინარჩუნებს.

ს/ს „სარაჯიშვილის“ სამეთვალყურეო
საბჭოს თავმჯდომარე, აქციონერთა
საერთო კრების თავმჯდომარე:
ელგუჯა ბუბუტეიშვილი